

ქიმიოთერაპიით-ინდუცირებული პერიფერიული ნეიროპათია (CIPN)


რა არის პერიფერიული ნეიროპათია?

პერიფერიული ნეიროპათია-პერიფერიული ნერვების დაზიანებაა. აღნიშნული ნერვები განლაგებულია სხეულის ცენტრიდან მოშორებით, ზედა და ქვედა კიდურებში.

პაციენტებს, რომლებსაც აქვთ პერიფერიული ნეიროპათია, უვლინდებათ სხვადასხვა სიმპტომი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ნერვა დაზიანებულია.

ნერვის დაზიანება, ყველაზე ხშირად, იწვევს დაბუყებას, ჩხვლეტას ან ტკივილს ზედა და ქვედა კიდურებში. ასევე, შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: სისუსტე კუნთებში, თავბრუსხვევა, შუილი ყურებში, სმენის დაკარგვა, წონასწორობის შენარჩუნების პრობლემა და ყაზოზობა.

კიბოს საწინააღმდეგოდ ჩატარებულმა გარკვეულმა ტიპის თერაპიამ, მაგალითად, ქიმიოთერაპიამ, შეიძლება დააზიანოს პერიფერიული ნერვები. პერიფერიული ნეიროპათიის სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს მკურნალობის განმავლობაში ან მის შემდეგ, და შესაძლოა იყოს დროებითი ან მუდმივი. გარკვეულ შემთვევებში პერიფერიულმა ნეიროპათიამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ადამიანის ცხოვრების ხარისხზე.



რა იწვევს ნერვის დაზიანებას?

პერიფერიული ნეიროპათიის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს:

- დიაბეტი
- ჰერპესი
- ალკოჰოლის გამოყენება
- სხვა მედიკამენტები
- გარკვეული ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი (მაგ, B ვიტამინი).

ამ ფაქტორებმა, ასევე, შეიძლება გაზარდოს პერიფერიული ნეიროპათიის რისკი, კიბოს დიაგნოზის შემდგომ. თამბაქოს მოწევამ შესაძლოა, ასევე, გაზარდოს რისკი.



ქიმიოთერაპია-ინდუცირებული პერიფერიული ნეიროპათია (CIPN)- პერიფერიული ნერვების ბოჭკოების (მოტორული, სენსორული, ავტონომიური) დაზიანება, ან დეგენერაციაა ,რომელიც გამოწვეულია გარკვეული სისტემური თერაპიის მედიკამენტებით.

სიმპტომები ჩვეულებრივ იწყება ფეხისა და ხელის თითებში და ვრცელდება პროქსიმალურად.



რამდენად ხშირია ქიმიოთერაპიის შემდგომი ნეიროპათია?

- 10-დან 7 პაციენტს უვლინდება სიმპტომები ქიმიოთერაპიული მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ.
- 10-დან 3 პაციენტს ჯერ კიდევ აქვს სიმპტომები მკურნალობიდან 6 თვის განმავლობაში.
- რისკები განსხვავდება ქიმიოთერაპიული მედიკამენტების მიხედვით.

შეიძლება თუ არა მისი პრევენცია?

ჯერჯერობით არ არსებობს პერიფერიული ნეიროპათიის პრევენციის მეთოდი. თუ მკურნალობის განმავლობაში გამოვლინდება სიმპტომები, თქვენმა ექიმმა შესაძლოა შეამციროს ქიმიოთერაპიული მედიკამენტის დოზა ან მოგცეთ მედიკამენტი მოგვიანებით, რაც იძლევა ნერვების აღდგენის საშუალებას და ხელს უშლის მათ მუდმივ დაზიანებას. გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება დაგჭირდეთ კონკრეტული ქიმიოთერაპიული პრეპარატის შეწყვეტა.

რა ზიანი შეიძლება მოგაყენოთ პერიფერიულმა ნეიროპათიამ?

- დაბუჩების, ჩხვლეტის, წვის, ტკივილის შეგრძნება ზედა და ქვედა კიდურებში. შესაბამისად, გიჭირთ სიარული და ყოველდღიური საქმიანობის შესრულება- (საჭმლის მომზადება, დილაკაფე თითის დაჭერა, მძიმე შემთხვევებში-ჭამა, ჩაცმა, მედიკამენტების გამოყენება და ა.შ)
- დაცემის მაღალი რისკი-ფეხების დაბუჩების, თავბრუსხვევის, წონასწორობის შენარჩუნებისა და თქვენი სხეულის სივრცეში შეგრძნების სირთულის გამო
- ვერ ახერხებთ საჭის მართვას ხელებისა და ფეხების დაბუჩების გამო
- წონასწორობის შენარჩუნების სირთულე, სმენის დაკარგვა, შუილი ყურებში
- დამწვრობისა და ჭრილობის მიყენების მაღალი რისკი დაბუჩების გამო
- მცირედი ჭრილობა და დამწვრობაც კი შეიძლება გახდეს სერიოზული,რადგან ქიმიოთერაპია ამცირებს ინფექციის მიმართ თქვენი წინააღმდეგობის გაწევის უნარს
- ყაბზობა, დიარეა, მუცლის შებერილობა, გაორებული მხედველობა
- ძილის დარღვევა მწვავე ტკივილის გამო

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პერიფერიული ნეიროპათიის პრევენციის გზა, თქვენ შეგიძლიათ შეამციროთ მისი განვითარების რისკი.თუ თქვენ გაქვთ დიაბეტი, მნიშვნელოვანია, რომ კარგად გაკონტროლდეს მკურნალობის განმავლობაში. შეზღუდეთ ალკოჰოლის მიღება და თამბაქოს მოწევა, რაც შეამცირებს რისკს.



ქიმიოთერაპიული მედიკამენტების ნეიროტოქსიურობა

მედიკამენტი	სენსორული	მოტორული	ავტონომიური
პლატინის ნაერთები ცისპლატინი და ოქსალიპლატინი (ქრონიკული ტოქსიურობა)	დისტალური, სიმეტრიული მგრძნობელობის დაკარგვა მტკივნეული პარესთეზია ან დაბუყება	ნორმა	იშვიათი
კარბოპლატინი	ცისპლატინის მსგავსი, მაგრამ ნაკლებად მწვავე	ნორმა	იშვიათი
ოქსალიპლატინი (მწვავე ტოქსიურობა)	პარესთეზია და დიზესთეზია, ხელებში, ფეხებში და პერიორალურ მიდამოში: ხშირად ინდუცირებული და გაუარესებული სიცივით	კრუნჩხვები, ყბის დაჭიმვა და კისრის კუნთების სპაზმი	იშვიათი
ალკალოიდები ვინკრისტინი ვინბლასტინი ვინორელბინი	ქვედა კიდურებში დისტალური მგრძნობელობის დაკარგვა	ნაკლებად ხშირი: დისტალური, სიმეტრიული სისუსტე ქვედა კიდურებში, შეიძლება განვითარდეს დაცემა	ვინკრისტინი-ხშირი ყაბზობა ორთოსტატული ჰიპოტენზია-ნაკლებად ხშირი
ტაქსანები პაკლიტაქსელი დოცეტაქსელი	ზომიერი, დისტალური მგრძნობელობის დაკარგვა (უფრო მეტად ფეხებში, ვიდრე ხელებში) მტკივნეული პარესთეზია	პერიოდული მსუბუქი სისუსტე ფეხებში	იშვიათი
სხვა- ანასტროზოლი	მაჯის არხის სინდრომი	სისუსტე კიდურში	ნორმა



ხანგრძლივობა

- გარკვეული ტიპის ქიმიოთერაპია იწვევს პერიფერიული ნეიროპათიის მოკლე (მწვავე) ეპიზოდებს მკურნალობის განმავლობაში ან მის შემდეგ. ეს ეპიზოდები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღე. სხვა ტიპის ქიმიოთერაპიისთვის პერიფერიული ნეიროპათია შეიძლება გახანგრძლივდეს (ქრონიკული). შესაძლოა გაუარესდეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქიმიოთერაპია უკვე დასრულებულია.
- როგორც წესი, პერიფერიული ნეიროპათიის სიმპტომები უმჯობესდება ქიმიოთერაპიული მკურნალობის დასრულებიდან 6-12 თვის განმავლობაში.
- ცისპლატინი, ოქსალიპლატინი, კარბოპლატინი (ქრონიკული ტოქსიურობისას)- შეიძლება შენარჩუნდეს რამდენიმე თვის განმავლობაში, პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ.
- ოქსალიპლატინი (მწვავე ტოქსიურობისას)- ხშირად წყდება 1 კვირაში.
- პაკლიტაქსელი, დოცეტაქსელი- ხშირად წყდება 3 თვეში; შეიძლება გახანგრძლივდეს.
- ვინკრისტინი, ვინბლასტინი, ვინორელბინი- ხშირად წყდება 3 თვეში; შეიძლება შენარჩუნდეს.
- გარდა სხვა დაავადებებისა, გარკვეული ტიპის კიბომ, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს პერიფერიული ნეიროპათია. მაგალითად, ფილტვის კიბო, ლიმფომა და მიელომა.

რეკომენდაციები ქიმიოთერაპია-ინდუცირებული პერიფერიული ნეიროპათიის დროს CIPN

თერმული დაზიანების პრევენცია



ზოგადი რეკომენდაციები (სენსორული (მგრძნობელობის) დარღვევისას)

- მოერიდეთ ხელისა და ფეხის თითებზე ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებას (დამოკიდებულია მედიკამენტზე)
- მოერიდეთ ყინულის პაკეტებს ან გამათბობელ ბალიშებს. დარწმუნდით, რომ წყლის ტემპერატურა საშხაპეში ან აბაზანაში 43-ზე ნაკლებია °C
- გამოიყენეთ ხელთათმანი ჭურჭლის რეცხვის ან მეზაღეობის დროს, თერმო ხელთათმანი საჭმლის მომზადებისას. შეამოწმეთ ტემპერატურა იდაყვით
- გააძლიერეთ ხელ-ფეხის მოვლის პრინციპები, რაც მოიცავს კანის ყოველდღიურ ვიზუალურ დათვალიერებას წყლულების ან ბუშტუკების დასადგენად

რეკომენდაციები პაციენტებისთვის, რომლებიც იღებენ ოქსალიპლატინს.

სენსორული სიმპტომები მწვავედება სიცივით. მკურნალობიდან რამდენიმე დღის განმავლობაში:

- დაიცავით:**
 - ✓ ატარეთ ხელთათმანები, წინდები და შარფი, რომ დაიცვათ თავი სიცივისგან
 - ✓ გამოიყენეთ ხელთათმანი, როდესაც მაცივრიდან ან საყინულიდან იღებთ საკვებს ან რაიმე საგანს
 - ✓ დაიცავით ყურები და ცხვირი სიცივისგან. დაიფარეთ პირი შარფით
 - ✓ ატარეთ თბილი ფეხსაცმელები და წინდა სახლშიც, თუ იატაკის გათბობა არაა შესაძლებელი
- თავი აარიდეთ:**
 - ✓ ცივი საკვებისა და სასმლის მიღებას
 - ✓ ცივ საგანთან კონტაქტს
 - ✓ ცივი ჰაერის ჩასუნთქვას
 - ✓ ლითონის მოაჯირის ხელის მოჭიდებას, ცივი საჭის მართვას

ვარჯიში



ვარჯიში რეკომენდებულია, რათა გაძლიერდეს კუნთოვანი მასა, ცირკულაცია, შემცირდეს ტკივილი და კრამპები, და გაუმჯობესდეს წონასწორობის შენარჩუნება. ფიზიოთერაპევტს შეუძლია შეიმუშავოს თქვენთვის განკუთვნილი ვარჯიშის პროგრამა.

დავარდნისგან თავის არიდება





- გაანთავისუფლეთ სასიარულო გზა, ჩართეთ განათება ოთახში შესვლისას
- გამოიყენეთ მოცურების საწინააღმდეგო საშხაპე/აბაზანის სპეციალური ფეხსაცმელი
- მოაცილეთ საგნები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დაცემა
- თუ სიარულისას გიჭირთ წონასწორობის შენარჩუნება, გამოიყენეთ დამხმარე მოწყობილობა
- მოერიდეთ ფეხშიშველ სიარულს ან თავისუფალი, მჭიდრო ფეხსაცმლის გამოყენებას

სიმპტომების მართვა

- ❑ **ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები**- შეგიძლიათ გამოიყენოთ ტკივილგამაყუჩებლები, რომლებიც გაიცემა ურეცეპტოდ (მაგ, იბუპროფენი, პარაცეტამოლი), მაგრამ ისინი ხანგრძლივად ვერ დაგეხმარებიან. თქვენმა ექიმმა, შეიძლება დაგინიშნოთ უფრო ძლიერი გამაყუჩებელიც, თუმცა, მათი გვერდითი ეფექტები მიაჩნის, რომ ხანგრძლივი გამოყენება არაა მიღებული და ამ პრობლემის გამოსავალი.
- ❑ **დულოქსეტინი**-ერთადერთი მედიკამენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს პირველი დონის რეკომენდაცია პერიფერიული ნეიროპათიის მართვაში.
- ❑ **სხვა მედიკამენტები**-ანტიკონვულსანტები (მაგ, გაბაპენტინი) ,ანტიდეპრესანტები (მაგ, ამიტრიპტილინი), ეძლევათ რეკომენდაცია მხოლოდ ექიმის მიერ. ადგილობრივი კრემები,რომელთაც აქვს ტკივილის შემსუბუქების უნარი,თუმცა, მყარი მტკიცებულებები ჯერჯერობით არ არსებობს.



<p>ავტონომიური სიმპტომების მართვა</p> 	<p>ორთოსტატული ჰიპოტენზია</p> <ul style="list-style-type: none"> ❑ ადგომამდე ჩამოშვით ფეხები და ადექით უსაფრთხო ზედაპირზე, ნელ-ნელა შეიცვალეთ პოზიციები <p>ყაზობა</p> <ul style="list-style-type: none"> ❑ ყოველდღიურად ადეკვატური რაოდენობის სითხის მიღება და მაღალბოჭკოვანი დიეტა
<p>არაფარმაკოლოგიური მართვა</p> 	<p>დამატებითი ალტერნატიული მედიცინის თერაპია (CAM) შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო ზოგიერთი ადამიანისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ❑ რელაქსაციის ტექნიკა, ღრმად ჩასუნთქვა, მედიტაცია, იოგა ❑ კოგნიტური თერაპია ❑ მასაჟი, აკუპუნქტურა, ნერვის ელექტრო სტიმულაცია კანქვეშ (TENS)

